სან-მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო

საბჭო

2021 წლის 6 ივლისის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ბატონი ნიკოლა ფაბიანო-პრეზიდენტი, ბ-ნი უმბერტო რაპეტო ვიცე-პრეზიდენტი, ქალბატონი პატრიცია გიგანტე საბჭოს წევრი და დირექტორი ქალბატონი მარია სკიარინო.

2021 წლის 8 აპრილს სან-მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ მიიღო მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ერთობლივად მოაწერეს ხელი სან-მარინოს ფინანსთა, განათლებისა და იუსტიციის მინისტრებმა.

„ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის № 171/2018, კერძოდ, მე-4, მე-5, 35-ე, 58-ე, 59-ე, 72-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად;

მინისტრებმა მოხსენებაში მიუთითეს, რომ შეიტყვეს მათთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების არაავტორიზებული გამჟღავნების შესახებ. მონაცემები სავარაუდოდ, უკანონოდ იქნა მოპოვებული სოციალური ქსელის (“Facebook”) ანგარიშებიდან. გარდა ამისა, მინისტრებმა მოითხოვეს კანონის (№ 171/2018) საფუძველზე დარღვევებისა თუ დანაშაულის გამოკვლევა.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია პერსონალური მონაცემების არასანქცირებული გამჟღავნების შესახებ ინტერნეტსივრცეში ფართოდ გავრცელდა.

კანონით №171/2018 დაცულია პერსონალური მონაცემები. იგი აღიარებს ფუნდამენტურ უფლებებს, თავისუფლებებს, ადამიანის ღირსებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს, პირად იდენტობას და მონაცემთა დაცვას (მუხლი 1, პუნქტები 2 და 3).

საზედამხედველო ორგანოს 2021 წლის 9 აპრილის № 4/2021 გადაწყვეტილებით, “Facebook Ireland Ltd”-ს დაევალა დაზარალებული სუბიექტებისთვის დარღვევის შესახებ ინფორმაციის შეტყობინება 10 დღის განმავლობაში.

“Facebook Ireland Ltd” წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, ხოლო “Facebook Inc” — დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს. 2018 წლის იანვრიდან 2019 წლის სექტემბრამდე, “Facebook”-ის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები იქნა მოპოვებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, სახელწოდებით — „სკრაპინგი“.

“Facebook”-მა განაცხადა, რომ არ არსებობს დეტალური ტექნიკური ანგარიში ან საფუძვლიანი შიდა დონის მოკვლევა, რომელიც ადასტურებს, „სკრაპინგის“ მეთოდით პერსონალური მონაცემების მოპოვების ფაქტს.

„სკრაპინგის“ მსგავსი მეთოდის გამოყენების, მესამე პირების მიერ მონაცემთა დიდი რაოდენობის შეგროვებისა და მათი “Facebook” სერვერებიდან „სკრაპერების“ კომპიუტერზე გადატანის შემთხვევა ძალზე მნიშვნელოვანი და სერიოზულია. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, უნდა განხორციელებულიყო პრევენციული და თავდაცვითი ზომები.

“Facebook Ireland” მიიჩნევს, რომ “Scraped Data Set” შედგენილია 2018 წლის იანვრიდან 2019 წლის სექტემბრამდე, „სკრაპინგის“ მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული განხორციელდა “Facebook” ფუნქციონალის მეშვეობით, რომლითაც მომხმარებლები პოულობენ კონტაქტებს (მაგ.: “Messenger Contact Importer”, “Facebook Contact Importer” და “Facebook Search”).

“Facebook Ireland Ltd.” აღნიშნა: „... “Facebook”-ის მომხმარებელთა დამუშავებული მონაცემები (“scraped”) ნაპოვნი იქნა 2021 წლის დასაწყისში დაუცველ მონაცემთა ბაზაში, როგორც ამას იუწყება აპრილის საინფორმაციო სტატიები... “.

“Facebook Inc.” და “Facebook Ireland Ltd.” სრულად აცნობიერებდნენ “scraping”-ის მეშვეობით პერსონალური მონაცემების შესაძლო მოპოვებასთან დაკავშირებით რისკებს, რაც დასტურდება საზედამხედველო ორგანოსთან მათივე გაგზავნილი დოკუმენტაციით.

“Facebook”-ი საკუთარ ვებგვერდზე <https://www.facebook.com/help/463983701520800>, აღნიშნავს: „რეიტინგის ლიმიტები“ აკონტროლებს, თუ რამდენად ხშირად შეუძლიათ ადამიანებს ურთიერთქმედება მათ პროდუქტებთან, ხოლო „მონაცემთა ლიმიტები“ ხელს უშლის მომხმარებელთა წვდომას იმაზე მეტ მონაცემზე, ვიდრე საჭიროა ნორმალური გამოყენების მიზნებისათვის. თუმცა ამ შემთხვევაში, ინციდენტმა გამოავლინა, რომ უსაფრთხოების ზომები არასათანადო იყო.“

„სკრაპინგით“ და/ან ნებისმიერი სხვა სისტემის მიერ განხორციელებული აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს მონაცემთა არასათანადო მასობრივ მოპოვებას და შემდგომ გამჟღავნებას, მიიჩნევა უკანონოდ.

რისკის შესამცირებლად და უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა და დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.

პერსონალური მონაცემების მოპოვების შემთხვევაში, „სკრაპინგით“ ან სხვა მეთოდებით, კომპანიამ არ მიიღო უსაფრთხოების აუცილებელი ღონისძიებები, რომელსაც განსაზღვრავს კანონის 33-ე მუხლი. კანონი (№171/2018) ავალდებულებს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას

მონაცემთა უკანონო მოპოვების რისკის შესამცირებლად, რაც “Facebook”-ს არ განუხორციელებია.

კანონის (№171/2018) თანახმად, დამუშავება ნიშნავს „პერსონალური მონაცემების გავრცელებას ან გასაჯაროვების ნებისმიერი ფორმით“ (მუხლი 2, პუნქტი 1 „ბ“).

„სკრაპინგის“ გზით “Facebook”-ის პლატფორმის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების მოპოვება, იყო აშკარა შედეგი იმისა, რომ “Facebook Ireland Ltd.”-მა და “Facebook Inc.”-მა ვერ მიიღეს შესაბამისი ზომები მომხდარის ასარიდებლად.

ჯარიმის განსაზღვრის თვალსაზრისით, კანონის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები:

ა) დარღვევის ბუნების, სიმძიმის, ხანგრძლივობის, დამუშავების ბუნების, ფარგლების ან მიზნის, ასევე, დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობისა და მიყენებული ზიანის მასშტაბის გათვალისწინებით, დაზარალდა უამრავი მონაცემთა სუბიექტი, რამაც მდგომარეობა უკიდურესად მძიმე გახადა. გარდა ამისა, “Facebook Inc.”-ისა და “Facebook Ireland Ltd.”-სგან დეტალური ინფორმაციის ნაკლებობის გამო სავარაუდოა, რომ პერსონალური მონაცემების მოპოვების რისკი დღესდღეობითაც არსებობს.

ბ) დარღვევასთან დაკავშირებული ბრალი - განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ორგანოს აზრით, “Facebook Inc.” და “Facebook Ireland Ltd” მოქმედებდა გაუფრთხილებლობით. მათ ვერ განახორციელეს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები უსაფრთხოების დონის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეამცირებდა რისკებს.

გ) მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ქმედებები ზიანის შესამსუბუქებლად - “Facebook Ireland Ltd.”-ის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით არ იკვეთება მსგავსი ღონისძიების დანერგვის ფაქტი.

დ) მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის ხარისხი კანონის 27-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად განხორციელებული ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გათვალისწინებით.

საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიუღებლობის გამო, კომპანიებს “Facebook Inc.”-სა და “Facebook Ireland Ltd.”-ს უნდა შეეფარდოს პასუხისმგებლობა სრული მოცულობით.

ე) მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი, დარღვევის გამოსწორებისა და დარღვევის შესაძლო უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.

დოკუმენტების გაგზავნის ეტაპზე, საზედამხედველო ორგანომ დადებითად შეაფასა "Facebook Ireland Ltd."-ის ქმედება, თუმცა კრიტიკულად შეაფასა პასუხის გაუცემლობის ფაქტი იმდენად, რამდენადაც ბრძანების შეუსრულებლობა მიიჩნევა სამართალდარღვევად და წარმოადგენს უმაღლესი ჯარიმის დაკისრების საფუძველს.

ვ) სამართალდარღვევის გავლენა პერსონალური მონაცემების კატეგორიებზე — ამ შემთხვევაში საქმე, ძირითადად, არ შეეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს.

ზ) საზედამხედველო ორგანოსთვის სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მოპოვება — საზედამხედველო ორგანომ დარღვევის შესახებ შეიტყო სან-მარინოს მოქალაქეების საჩივრით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ "Facebook Inc."-მ და "Facebook Ireland Ltd."-მა სრულყოფილად ფლობდნენ ინფორმაციას დარღვევის შესახებ, მათ არ მიმართეს საზედამხედველო ორგანოს.

კანონის (№171/2018) 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, "Facebook Ireland Ltd."-ს შეეფარდა ჯარიმა 4 000 000 ევროს ოდენობით კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის.

სან-მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ

დაადგინა:

"Facebook Ireland Ltd."-მა დაუყონებლივ მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები უსაფრთხოების სათანადო სტანდარტის უზრუნველსაყოფად, რომლის მეშვეობით მინიმუმამდე იქნება დაყვანილი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკი, მათ შორის, „სკრაპინგის" გზით. მანვე საზედამხედველო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია შვიდი დღის განმავლობაში.

დაადგინა:

კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, "Facebook Ireland Ltd."-ს, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა 4 000 000 ევროს ოდენობით. ჯარიმის გადახდის ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს, რომელიც აითვლება აღნიშნულის შესახებ შეტყობინების ფაქტიდან.

ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის გზით.

დაადგინა:

გადაწყვეტილება აღრიცხოს ორგანოს შიდა რეესტრში და გამოქვეყნდეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვებია კანონის 70-ე მუხლით დადგენილი წესით. გასაჩივრება არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას.